საბერძნეთის ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესია

ოქმი № 3218

საშობაო ეპისტოლე

2022

„ქალწულისაგან უფალი იესო მჴსნელი, განმანათლებელი, ცხოვრება და მაცხოვარება, აწ იშუᲮბის ბეთლემს შინა“.

ძვირფასო მამანო და ძმანო, ქრიტეს მიერ საყვარელნო შვილნო!

მამათმთავარი ადამი ურჩებით წინ აღუდგა ღმერთს კეთილთა შინა სამოთხისათა და განიდევნა იქიდან და ჩვენ, მისი შთამომავლები, გვქმნა მემკვიდრე ღმრთაებრივი ნებისადმი მისი წინააღდგომისა. თითოეულ ჩვენგანში არის ღმრთაებრივი მორჩილების უარყოფისა და თავიდან აცილების მარცვალი, რომელსაც განდგომისა და სიკვდილისაკენ მივყავართ.

ძაგრამ ახალი ადამი, უფალი იესო ქრისტე, სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა შობილი ბეთლემს შინა, ზეცით ქვეყანად გარდამოხდა, რათა არა მხოლოდ ძველი ადამის ცოდვა გამოესყიდა, არამედ იშვა **თითოეული ჩვენგანისთვის,** ადამის მწუხარე შთამომავლებისთვის, რომელთაც ასევე ვცოდეთ და დღესამომდე განვაგრძობთ შეცოდებას.

ჩვენ შეიძლება არ ვიცნობთ ძველ ადამს, მაგრამ როდესაც ვცოდავთ, ჩვენი ურჩებით სწორედ რომ მას მივემსგავსებით. და პირიქით, როდესაც არ ვცოდავთ და მეორე ადამის, უფალ იესო ქრისტეს კურთხეულ მორჩილებას ვიცავთ, მაშინ ჩვენს ახალ და ჭეშმარიტ მამათმთავართან **ცნობასა** და **ურთიერთკავშირში** ვიმყოფებით, რომელიც ძღვნად გვიბოძებს უცოდველობას! (შდრ. წმ. სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველი, ანბანური თავნი, თავი 5).

ეს არის ყველაზე საკვირველი და მნიშვნელოვანი და უზენაესი ნაცნობობა ამ ცხოვრებაში - პიროვნული კავშირი მაცხოვარ იესო ქრისტესთან მის წმინდა მართლმადიდებელ ეკლესიაში, რათა მივაღწიოთ ჩვენს საუკუნო ღმრთაებრივ

დანიშნულებას მამისა და ძისა და სულიწმიდის სამეუფოში!

* * *

განკაცებულმა უფალმა აღასრულა საღმრთო განგებულების ყოვლისმომცველი მაცხოვნებელი საქმე, რათა ღრმად გვჯეროდეს გამომხსნელი საქმისა, ვეზიაროთ მას გამოცდილებით და ამ გზით მოვიხვეჭოთ სულიწმიდის ნიჭი წმინდა საიდუმლოებებთან და სათნოებებთან ერთად. სულიწმიდის გარეშე ჩვენ ღატაკნი და უმწეონი ვრჩებით, უბედურნი და დაუცველნი საშიშროების წინაშე და არათანაზიარნი გამოხსნისა. ჩვენი ინტერესები შემოიფარგლება მიწიერი საგნებით, რომლებიც პროზაული, ხრწნადი, წუთიერი და წარმავალია, რის გამოც ვნებების კულტივირება და უკიდურესი აღგზნება იწვევს ომებსა და ბრძოლებს ჩვენს სამყაროში, ჩვენს შიგნით, ჩვენს გარშემო, მთელს დედამიწაზე...

მაგრამ როდესაც სულიწმიდას დავრთავთ ნებას მოვიდეს და დაადგრეს ჩვენ თანა, ის აღგვაორძინებს და განგვაახლებს, გაანათებს რა ჩვენს გონებას, სინდისს და ყველა ჩვენს გრძნობას. მაშინ წარმავალი ცხოვრება, რომელიც ბუდობს ჩვენში და სულს ხორციელი და ამქვეყნიური მიდრეკილებებითა და სურვილებით ხიბლავს, ადგილს უთმობს წარუვალის ახალსა და კურთხეულ მდგომარეობას. სწორედ ამგვარი გზით შევძლებთ ვიგემოთ ზეციური სიკეთეები, ვიხმიოთ მცირედი მათი სინათლისა და სითბოსი. ჩვენი სული ფრთოვან-იქმნება და სიხარულით თანაეზიარება ანგელოზთა მწყობრ გალობას; საღმრთო მშვიდობა და კურთხევა განივრცობა ჩვენი გულების ოდესღაც ბნელ, ლპობილ, ცივ და სტუმართმოძულე ნიადაგში.

ქრისტე იშვა, რათა რადიკალურად შეცვალოს კაცობრივი კრიტერიუმები და მოცემულობები, რათა შესაძლებელი გახადოს ის, რაც აქამდე წარმოუდგენელ და მიუწვდომელ მდგომარეობად და რეალობად ითვლებოდა. მოვიდა ქრისტე, რათა მოგვანიჭოს ჭეშმარიტი ცხოვრება, ესე იგი რათა ბოროტება გარდააქციოს სიკეთედ, ხრწნილება - უხრწნელებად, ცოდვა - სათნოებად, ჯოჯოხეთი - სამოთხედ, მიწა - ზეცად, კაცი - ღმრთად.

* * *

ძვირფასო ძმანო და დანო!

როგორ მიიღწევა ეს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში? **სინანულით**! სინანული ადამიანში სცვლის და გარდაქმნის ყოველივეს. ის თავის თავში მოიცავს შემოქმედ და ღმრთაებრივ ძალას, რომელიც ცოდვიდან სათნეობისაკენ მცირედი შეცვალებით იწყება და აღწევს ზღვარდაუდებელ სიწმინდეს.

როდესაც გონება სიბილწითა და მავნებლობით არ იქნება დაკავებული, სიტყვები მზაკვრობას შეწყვეტენ, გრძნობები - საქმით შეცოდებას, მაშინ **იშვება ახალი ადამიანი: სულიერი კაცი**. და ის არის ჭეშმარიტი ქრისტიანი.

როდესაც მწარე ცრემლით ვიგლოვთ შეცდომებს, როდესაც ჭეშმარიტი სინანულის აღთქმას დავდებთ და დავიცავთ მას, შევწყვეტთ რა მუდმივ დარღვევებს, მაშინ ადამიანი იცხოვრებს და წარემართება ქრისტეს მიერ. ის ყოველგვარი ძალისხმევით ეცდება არ ჩავარდეს არანაირ ბიწიერებასა, ურცხვობასა და მომხვეჭელობაში და ამით არ განვარდეს მადლისაგან. ის განსაკუთრებით მღვიძარე იქნება, რათა არ მიიდრიკოს სისასტიკის, შურისგებისა და ულმობელობისაკენ მოყვასის მიმართ, როგორიც არ უნდა იყოს ის, რათა არ დაკარგოს მაცხოვნებელი სინანული და ამით უსარგებლოდ და ამაოდ არ აქციოს თავისი ღვაწლი.

* * *

*ს**აყვარელნო ძმანო!***

მოდით, ღმრთაებრივი ყრმის შობას ვიყოთ ერთგულნი და მართალნი, პატიოსანნი და წრფელნი, მოღვაწენი და მღვიძარენი, მხიარულნი და იმედით აღსავსენი, მონანულნი და მოწყალენი, მოთმინენი და მიმტევებელნი და რაც მთავარია - ნამდვილნი და არა თვალთმაქცნი. გვაკურთხოს ღმერთმან მშვიდობისა, სიყვარულისა და ჭეშმარიტებისამან და სუფევდეს ჩვენთანა, ვითარცა ემმანუელ, ყოველთა დღეთა ვიდრე აღსასრულამდე საუკენეთა, ამინ!

ქრისტე იშვა!

ქრისტეს შობა 2022

წმინდა სინოდი
მთავარეპისკოპოსი ათენისა და სრულიად ელადისა
† კალინიკე